

მასმედიის როლი და შესაძლო გავლენები ბრალდებულთა უდანაშაულობის  
პრეზუმფციის უფლებასთან მიმართებით

ირაკლი ჩაჩხიანი

სამაგისტრო ნაშრომი წარდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის სამართლის  
ფაკულტეტზე სამართლის მაგისტრის აკადემიური ხარისხის მინიჭების მოთხოვნების  
შესაბამისად

ხელმძღვანელი: ზაზა მეიშვილი

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისი, 2023

## განაცხადი

როგორც წარდგენილი სადისერტაციო ნაშრომიდ ავტორი, ვაცხადებ, რომ ნაშრომიწარმოადგენს ჩემს ორიგინალურ ნამუშევარს და არ შეიცავს სხვა ავტორების მიერ აქამდე გამოქვეყნებულ, გამოსაქვეყნებლად მიღებულ ან დასაცავად წარდგენილ მასალებს, რომლებიც ნაშრომში არ არის მოხსენებული ან ციტირებული სათანადო წესების შესაბამისად.

ავტორის ხელმოწერა: ირაკლი ჩაჩხიანი

02/06/2023

## აბსტრაქტი

მოცემული კვლევის მიზანია მკითხველს გააცნოს თუ რა როლი აქვს მასმედიას სისხლის სამართალში და რა დონით შეიძლება იყვნენ მასმედიის წარმომადგენლები ჩართულნი სისხლის სამართლის პროცესებში, რა გადაკვეთა შესაძლოა ჰქონდეთ მათ ბრალდებულებთან და მათ უფლებებთან, მასმედიის წარმომადგენლების მხრიდან რა გზებით შეიძლება დაირღვეს ბრალდებულთა უფლებები და ა.შ.

კვლევის აქტუალობა მდგომარეობს იმაში, რომ კვლევაში დასმული პრობლემა, კერძოდ კი, მასმედიის წარმომადგენლების არასწორი პრაქტიკა სისხლის სამართლის პროცესებში ჩართულობის დროს ბრალდებულ პირებთან მიმართებაში, წარმოადგენს არა ლოკალურ პრობლემას, არამედ იგი სხვადასხვა ქვეყნების პრაქტიკაშიც ხშირად ვლინდება და საჭიროებს რეგულირებას. პრაქტიკაში გამოვლენილი არსებული ხარვეზები წინააღმდეგობაში მოდის საქართველოს საკანონმდებლო და არასაკანონმდებლო აქტებთან, რომლებშიც ნათლადაა ასახული მასმედიის ჩართულობის ფარგლები და მათი ფუნქციები სისხლის სამართლის პროცესებში. მაგალითად კი შესაძლოა მოყვანილ იქნას, თუ გინდ სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი, რომელიც გვამცნობს სისხლის სამართალში არსებულ სხდომათა საჯაროობის პრინციპზე და მის მუხლებში გადმოცემულია სწორედ ის დებულებები, რომლებიც ითვალისწინებენ მასმედიის წარმომადგენლების ჩართულობას ამ პროცესებში, თუმცა მეორე საკითხია თუ როგორ ხდება ეს ყველაფერი პრაქტიკაში. ნაშრომში ასევე საუბარი იქნება საქართველოს ორგანულ კანონზე „საერთო სასამართლოების შესახებ“, რომელშიც ასევე საუბარია სხდომათა საჯაროობის პრინციპზე და მასმედიის როლზე ამ პრინციპის უზრუნველყოფაში. ასევე განხილული იქნება სხვა საკანონმდებლო თუ არასაკანონმდებლო აქტები მოცემული საკითხის ირგვლივ.

კვლევის შედეგად მკითხველი ზემოთ მოყვანილ საკითხებზე მსჯელობის შემდეგ, მივა იმ დასკვნამდე რომ მასმედიას საკმაოდ დიდი როლი უკავია სისხლის სამართალში და ყველაზე მეტად კი იგი მუშაობს სისხლის სამართლის პროცესების შესახებ საზოგადოების ფართო მასების ინფორმირების კუთხით, რადგანაც დღესდღეისობით მასობრივი ინფორმაციის საშუალებებიდან ერთ-ერთი სწორედ მასმედიაა, რომელიც საზოგადოებას ინფორმაციას აწვდის აგრეთვე ქვეყნის კრიმინოგენური მდგომარეობის თაობაზეც. კვლევის შედეგად გამოვლინდება, რომ მასმედიის მიერ განხორციელებულ ამ პროცესებში მრავალი სახის დარღვევა შესაძლოა გამოვლინდეს. კვლევის დიდი ნაწილი მიმართული იქნება მასმედიის წარმომადგენლების რეპორტაჟებში თუ ინტერვიუებში არსებულ შესაძლო

დარღვევებზე, რომლებიც გავლენას ახდენენ არა მხოლოდ ზოგადად სისხლის სამართლის პროცესებზე, არამედ ბრალდებული პირების უფლებებთან მიმართებაშიც, კერძოდ კი, ამ მხრივ ყველაზე მეტად ყურადღება გამახვილდება ბრალდებულთა უდანაშაულობის პრეზუმფციაზე.

ერთგვარად რომ შეჯამდეს ყველა ზემოთ ხსენებული საკითხი, შესაძლოა ნათლად ითქვას რომ, მასმედიას უდიდესი როლი აქვს საზოგადოების ინფორმირების თვალსაზრისით, მათ შორის სისხლის სამართლის საკითხებზეც, თუმცა მათ მიერ განხორციელებული ქმედებები ამ მიზნის მისაღწევად უნდა იყოს კანონთან და სხვა რეგულაციებთან შესაბამისი. მიუხედავად იმისა, რომ დღესდღეისობით არსებობს სხვადასხვა საკანონმდებლო თუ არასაკანონმდებლო აქტი რომლებიც არეგულირებენ მასმედიის წარმომადგენლების საქმიანობის სფეროებს, მათი მხრიდან პრაქტიკაში მაინც ვლინდება ხარვეზები, რაც გავლენას ახდენს როგორც საზოგადოებაზე, ასევე სისხლის სამართლის პროცესებში მონაწილე პირებზეც, უმეტესწილად კი ბრალდებულებზე.

ძირითადი საძიებო სიტყვები: მასმედიის როლი სისხლის სამართალში, სხდომათა საჯაროობის პრინციპი, უდანაშაულობის პრეზუმფცია.

## Abstract

First of all, in order to present the purpose of the work, it should be said that the purpose of the study is to introduce the reader to the role of the mass media in criminal law and to what level the mass media representatives can be involved in the criminal law processes, what intersection they may have with the accused and their rights, what the mass media representatives can do in some ways, the rights of the accused may be violated, etc.

The relevance of the study lies in the fact that the problem posed in the study, namely, the wrong practice of mass media representatives in relation to accused persons during involvement in criminal proceedings, is not a local problem, but it is often manifested in the practice of different countries and needs to be regulated. The shortcomings identified in practice are in conflict with the legislative and non-legislative acts of Georgia, which clearly outline the scope of mass media involvement and their functions in criminal proceedings. As an example, the Criminal Procedure Code of Georgia can be cited, which informs us about the principle of publicity of sessions in criminal law, and its articles contain the very provisions that provide for the involvement of mass media representatives in these processes, but how this all happens in practice is another issue. The study will also talk about the Organic Law of Georgia "On Common Courts", which also talks about the principle of publicity of sessions and the role of the mass media in ensuring this principle. Other legislative and non-legislative acts surrounding the issue will also be discussed.

As a result of the research, the reader, after discussing the issues mentioned above, will come to the conclusion that the mass media has a large role in criminal law, and it works most of all in terms of informing the public about criminal law processes, because nowadays one of the means of mass information is the mass media, which informs the public. It also provides information about the country's criminogenic situation. As a result of the research, it will be revealed that many types of violations may be revealed in these processes carried out by the mass media.

Most part of the research will be directed to the possible violations in the reports and interviews of the mass media representatives, which affect not only the criminal processes in general, but also in relation to the rights of the accused persons, in particular, in this regard, the most attention will be focused on the principle about the presumption of innocence of the accused.

To summarize all the above-mentioned issues, it can be clearly said that the mass media has a great role in informing the public, including criminal law issues, although their actions to achieve this goal must be in accordance with the law and other regulations. Despite the fact that today there are various legislative and non-legislative acts that regulate the spheres of activity of mass media representatives, there are still flaws in their practice, which affect both, the society and the persons participating in criminal proceedings, mostly the accused.

Main key words: role of mass media in criminal law, principle of publicity of hearings, presumption of innocence.